პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — 1978

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი 20 აპრილი 1978 წ. № 93 (17137) ფასი 2 კაპ.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ 1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის! ძალ-ღონეს ნუ დაიშურებთ, რათა მიაღწიოთ შრომის უმაღლეს ნაყოფიერებას, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ზრდას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საკავშირო მოწოდებებიდან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფსაბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება იმის შესახებ, რომ 1978 წლის 1 ივლისიდან 1 ოქტომბრამდე მოეწყოს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვისათვის მუშაობის უკეთ ორგანიზაციის რესპუბლიკური დათვალიერება-კონკურსი.

დათვალიერება-კონკურსის ორგანიზატორის მოვალეობა დაეკისრა წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის საკითხთა რესპუბლიკურ კომისიასა და საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან არსებულ შესაბამის კომისიებს.

დათვალიერება-კონკურსის მიზანი და ამოცანებია დაიჩქაროს ხარისხის რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის რეკომენდაციების რეალიზაცია; დარაზმოს საწარმოთა კოლექტივები, რათა გაუმჯობესონ პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვისათვის მუშაობის ორგანიზაცია; ფართოდ გაავრცელოს წარმოების ორგანიზაციის მოწინავე გამოცდილება, რომელიც მიზნად ისახავს უმაღლესი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისა და მეორე კატეგორიის პროდუქციის გამოშვების შეწყვეტას; გააქტიუროს ხარისხის საქალაქო, რაიონული და საუწყებო კომისიების მუშაობა; გააძლიეროს პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების როლი წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის მასობრივი მოძრაობის განვითარებაში.

დათვალიერების პერიოდში საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან არსებული ხარისხის კომისიებში სისტემატურად მოაწყობენ ქალაქებისა და რაიონების სამუშაო ჯგუფების გაცვლას შემხვედრი შემოწმებისათვის, პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად და პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დასანერგად მუშაობის გამოცდილების გაზიარებისათვის, რეგულარულად მოისმენენ საწარმოების, ორგანიზაციებისა და მეურნეობების ხელმძღვანელთა ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ.

დათვალიერების ორგანიზაციის დონის შემოწმებისა და პროდუქციის ხარისხის კომისიებისადმი პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით სამინისტროებისა და უწყებების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის სახსტანდარტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს წარმომადგენლები და სპეციალისტები ეწვევიან ქალაქებს, რაიონებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და მეურნეობებს.

დათვალიერება-კონკურსის შედეგებს 1978 წლის ოქტომბერში (ცხრა თვის მაჩვენებლების მიხედვით) შეაჯამებს წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის საკითხთა რესპუბლიკური კომისია.

რესპუბლიკის რაიონებს (ქალაქებს) შორის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად მუშაობის უკეთ ორგანიზაციისათვის დათვალიერება-კონკურსის გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად დაწესებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშა და დიპლომი.

სამრეწველო საწარმოთა შორის გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად დაწესებულია ერთი პირველი, ორი მეორე და ოთხი მესამე ადგილი.

კოლმეურნეობებს, სახელმწიფო მეურნეობებსა და სამეურნეო-თაშორისო საწარმოებს შორის გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად დაწესებულია ერთი პირველი, ორი მეორე და ოთხი მესამე ადგილი.

დათვალიერება-კონკურსში გამარჯვებული კოლექტივების ცალკეული მოწინავეები, კოლმეურნეები, მუშები, სპეციალისტები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან არსებული ხარისხის კომისიების წევრები, აგრეთვე რესპუბლიკის სხვა ორგანიზაციებისა და უწყებების მუშაკები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ დათვალიერება-კონკურსში და თავი გამოიჩინეს მისი ჩატარების დროს, წარდგენილ იქნებიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელებით დასაჯილდოებლად, პრემიების სახით მიეცემათ სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების, აგრეთვე სახლვარგარეთ ტურისტული მოგზაურობის საგზურები; რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს მიერ გამოყოფილია 20 მსუბუქი ავტომანქანა საბაზო ფონდიდან რიგგარეშე გაყიდვისათვის.

საწარმოების, ორგანიზაციებისა და მეურნეობების ხელმძღვანელებს უფლება ეძლევათ განსაკუთრებით აქტიური მუშაკები ფრიად მნიშვნელოვანი საწარმოო დავალების შესრულებისათვის დაჯილდოონ ერთი თვის ხელფასის ოდენობის ფულადი პრემიით მატერიალური წახალისების ფონდიდან.

რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს დაევალათ სისტემატურად გააშუქონ დათვალიერების მიმდინარეობა, ფართო პროპაგანდა გაუწიონ მოწინავე კოლექტივებისა და მუშაკების გამოცდილებას პროდუქციის ხარისხის ამაღლების და პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვის დარგში, მტკიცედ იბრძოლონ კრიტიკული გამოსვლების მიხედვით ქმედითი ღონისძიებების მიღებისათვის. (საინფორმრმი).

შაბათობა გვიხმობს

მზად არიან

ნოხუმი. სალოკომოტივო დეპოს შრომითი კოლექტივი მზად არის კომუნისტური შაბათობის ორგანიზებულად ჩატარებისათვის.

შაბათობის დღეს შემკეთებელი საამქროს მუშები გეგმის გადამეტებით შეაკეთებენ ერთ ელმავალს და 10 ელექტროვაგონს. გარდა ამისა წესრიგში მოიყვანენ ხელსაწყო-იარაღს, მანქანა-დანადგარებს, საამქროებს, დეპოს ტერიტორიას.

მოწინავე მემანქანეებმა ი. გუბაზმა, გ. მიქაძემ, ზ. ძაძამიამ, მ. კაპანაძემ, მ. ტლაშაძემ, თ. მერკვილაშვილმა, ვ. ხრაპაჩმა და სხვებმა იკისრეს ამ დღეს დაზოგული ელექტროენერგიით გადაიყვანონ მძიმეწონიანი მატარებლები და გამომუშავებული თანხა ხუთწლედის ფონდში გადარიცხონ. („კომუნისტის“ კორ.).

მელოკომოტივეთა წვლილი

ქუთაისი. სალოკომოტივო დეპოს მშრომელები დიდი ენთუზიაზმით ემზადებიან ლენინური შაბათობის დღის აღსანიშნავად. 22 აპრილს მელოკომოტივეები დადგენილი წონითი ნორმის გადაჭარბებით გადაზიდავენ 650 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთს, მცირე პერიოდული შეკეთებიდან გამოუშვებენ ერთ ელმავალსა და მოტორვაგონიან სექციას. ამ დღეს ისინი იმუშავებენ დაზოგული ელექტროენერგიით.

რკინიგზელები ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ 250 მანეთს, გაამწვანებენ და დაასუფთავებენ დეპოს და მის გარშემო ტერიტორიას, შეიგროვებენ 8 ტონა ჯართს.

(„კომუნისტის“ კორ.).

ტრადიციულად

სილნალი. (საკ. კორ.). ტრადიციული ლენინური შაბათობა სათვეს რაიონში დიდი სამზადისია. მოსკოველთა თაოსნობას პირველები გამოეხმაურნენ წნორის მიცხოველეობის კომპლექსის, მექანიკური სახელოსნოს, ავტოსატრანსპორტო საწარმოს მუშაკთა კოლექტივები. მარტო მათგან შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს ათასზე მეტი მუშა-მოსამსახურე. საწარმოო დავალებების შესრულებასთან ერთად, ისინი ამ დღეს მოაწყობენ სამეურნეო კარმიდამოს, გამამწვანებენ და დაასუფთავებენ ტერიტორიას.

წნორის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივი 22 აპრილს საგეგმო 2.500-ის ნაცვლად 3.000 მანეთს გამოიმუშავებს და მას 20 პროცენტს გადარიცხავს ხუთწლედის ფონდში.

შაბათობისათვის გულმოდგინედ ემზადებიან რაიონის კოლმეურნეობები.

დამკვრელური შრომით

მუროვანი. საერთაშორისო სოლიდარობის დღეს — პირველ მაისს შეეგებდეთ ახალი წარმატებებით — ასეთი დევიზით გაძღოლეს სოციალისტური შეჯიბრება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს „საქფრინველმრეწვის“ სპეციალიზებული სარეპროდუქტორო-სამშენებლო სამმართველოს (უფროსი — ლ. კოხრეიძე) მუშა-მოსამსახურეებმა.

კოლექტივის მშრომელებმა, რომლებმაც ვადაზე 5 დღით ადრე გაანადღეს პირველი კვარტალის დავალება, შეასრულეს 479 ათასი მანეთის მოდერნიზაცია-რეკონსტრუქციის, კაპიტალური შეკეთებისა და მეფრინველეობის ფაბრიკების გამართვა-გაშვების სამუშაოები, გადაწყვეტეს აპრილის გეგმა შეასრულონ ვადამდე ლენინური შაბათობის დღისათვის. ამ ნაკისრი ჰქონდათ საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიის გახსნის დღისათვის შეასრულებინათ 60 ათას მანეთამდე ღირებულების სამუშაო. ეს დავალება გაანადღეს.

ახლა კომბინატის მუშა-მოსამსახურეები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა მეათე ხუთწლედის სამი წლის გეგმა სსრ კავშირის კონსტიტუციის მიღების წლისთავისათვის — 7 ოქტომბრისათვის შესრულონ.

(„კომუნისტის“ კორ.).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

22 აპრილს

კომუნისტური შაბათობა

ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა აგოსტინიო ნეტოს

19 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა მპლა-შრომის პარტიის თავმჯდომარეს, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს აგოსტინიო ნეტოს, რომელიც საბჭოთა კავშირში დასასვენებლად იმყოფება.

შეხვედრაში, რომელმაც მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა, მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ა. ნეტომ, დიდი კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ წარმატებით ვითარდება სსკპ ცენტრალური კომიტეტის და ანგოლის სახალხო რესპუბლიკის ნეგობრული ურთიერთობა და ყოველმხრივ ნაყოფიერია მათი თანამშრომლობა. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ორივე ქვეყნის მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კიდევ უფრო გაიღრმაონ და განავითარონ ეგი. შეხვედრის დროს ითქვა, რომ საბჭოთა კავშირ-ანგოლის ურთიერთობის განვითარებაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს საბჭოთა კავშირის „ომუნისტური“ პარტიისა და მპლას-შრომის პარტიის კავშირურთიერთობის განმტკიცება.

ა. ნეტომ დამსწრეთ გააცნო მპლა-შრომის პარტიისა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს სოციალისტურ საწყისებზე ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების გარდაქმნის შესახებ პარტიის I ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციას.

ლ. ი. ბრეჟნევმა ა. ნეტოსა და ანგოლელ ხალხს უსურვა დიდი წარმატებანი ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციისაგან თავისუფალი ახალი საზოგადოების მშენებლობაში და აღუთქვა, რომ საბჭოთა კავშირი კვლავაც ყოველნაირად დაუჭერს მხარს ანგოლის გმირ ხალხს.

ა. ნეტომ დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა ხალხს, სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და პირადად ლ. ი. ბრეჟნევს იმ უანგარო ძმური დახმარებისათვის, რომელსაც უწევენ ანგოლის სახალხო რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაცვაში, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებასა და ეკონომიკურ განვითარებაში. მან თქვა, რომ ანგოლის სახალხო რესპუბლიკა სრულ სოლიდარობას უცხადებს საბჭოთა კავშირს მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში.

აფრიკისა და საერთაშორისო პრობლემების განხილვის დროს ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა ისტორიული მნიშვნელობა აქვს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებისა და ეროვნული განმთავისუფლებელი ძალების თანამშრომლობას კოლონიალიზმისა და ეროვნული ჩაგვრის საბოლოო ლიკვიდაციის საქმეში და განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ ნამიბიის, ზიმბაბვეს და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხალხთა ბრძოლას კოლონიურ-რასისტული რეჟიმების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირი და ანგოლის სახალხო რესპუბლიკა მოითხოვენ, რომ რაც შეიძლება მალე დამყარდეს მტკიცე მშვიდობა და კეთილმეზობლობა აფრიკის რქაზე, რაც უნდა ემყარებოდეს ტერიტორიულ პრეტენზიებზე უარის თქმასა და ერთმანეთის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენული ორდევევობისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებსა და პრინციპებს და აფრიკის ქვეყნების ეროობის ორგანიზაციის შესაბამის გადაწყვეტილებებს.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ა. ნეტომ გამოთქვეს კმაყოფილება იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირისა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკელი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეების რეგულარული შეხვედრები ხელს უწყობს ორ ქვეყანას შორის ნდობის განმტკიცებასა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას.

ამხანაგ ე. გერეკს გადაეცა ოქტომბრის რევოლუციის ორდენი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა 18 აპრილს კრემლში ოქტომბრის რევოლუციის ორდენი გადასცა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ედვარდ გერეკს.

ჯილდოს გადაცემას დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. ნ. კოსიგინი, თ. დ. კულაკოვი, მ. ა. სუსლოვი, დ. თ. უსტინოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, კ. უ. ჩერნენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, ი. პ. რიაბოვი, კ. ვ. რუსაკოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

დასასწრებად იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოველი ელჩი კ. ოლშევსკი.

ჯილდოს გადაცემის საზეიმო ცერემონიალზე გამოვიდნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი და ე. გერეკი.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა

ძვირფასო ამხანაგებო!

დღეს ჩვენ შევეკრიბეთ, რათა ოქტომბრის რევოლუციის ორდენი გადეჯილეთ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ედვარდ გერეკს. ეს მაღალი საბჭოთა ჯილდო ჩვენს პატივცემულ სტუმარს მიენიჭა დაბადების 65-ე წლისთავთან დაკავშირებით, მშვიდობისა და სოციალიზმის განმტკიცების საქმეში დიდი წვლილისათვის, საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ხალხთა შორის ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებაში უთავლესი როლისათვის.

თქვენ, ამხანაგო გერეკ, საბჭოთა კავშირში კარგად გიცნობენ, გიცნობენ როგორც პოლონეთის მიწა-წყალზე სოციალიზმის იდეების გამარჯვებისათვის მტკიცე მებრძოლს, როგორც საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეს, როგორც ჩვენი ქვეყნის ერთგულ მეგობარს. ყოველივე ამან მოგიხვეჭათ თქვენ ავტორიტეტი და გულწრფელი სიმპათია საბჭოთა ადამიანებს შორის.

წელს პოლონელი ხალხი თავისი ისტორიის დიდმნიშვნელოვან მოვლენას აღნიშნავს. 60 წლის წინათ დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მას ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღორძინების გზა გაუხსნა. დეკრეტს, რომლითაც პოლონეთს დამოუკიდებლობა მიენიჭა, ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა მოაწერა ხელი. მხარს უჭერდა რა პოლონელთა თვითგამორკვევის უფლებას, პროლეტარული რევოლუციის ბელადი ამასთანავე პოლონელი და რუსი მუშების ომჰენდრესი კლასობრივი კავშირის მგზნებარე დამცველი იყო.

ასეთი კავშირი დიდი ხანია რეალობა გახდა. მან გაუძლო გამოცდას ფაშიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკების დროს. იგი ეხმარება ჩვენს ორ მოძმე ხალხს ანტიფაშისტურ ომში. ეს ომი ბევრ ახალ საზოგადოებას, გაეფრთხილდნენ და ამრავლონ რევოლუციის მონაპოვარნი, დაიცვან ქვეყნად მშვიდობა.

საბჭოთა ხალხი ამხანაგური სოლიდარობის გრძნობით ეკიდება მეგობარი პოლონეთის დინამიკური განვითარებას, კომუნიკაციებს, მშრომელების გარჯას, რომლებიც განვითარებული სოციალიზმის მშენებლობის პროგრამას ახორციელებენ. ჩვენ ვიცით, რომ ეს არ არის იოლი ამოცანა და იგი მოითხოვს დიდი, ზოგჯერ ძნელი პრობლემების გადაჭრას. მაგრამ შეგვიძლია ეჭვიც არ ვიქონიოთ, რომ პოლონეთის მუშათა კლასი, მშრომელი ხალხი წარმატებით გაართმევენ თავს ამ ისტორიულ საქმეს და თავიანთ სამშობლოს აყვავებულ სოციალისტურ სამშობლოდ გადაქცევენ.

ძვირფასო ამხანაგო გერეკ! ოქტომბრის რევოლუციის ორდენს რომ გადმოგცემთ, მინდა სულით და გულით გისურვოთ ჯანმრთელობა, დიდი წარმატებანი თქვენს საქმიანობაში პოლონელი ხალხის საკეთილდღეოდ, ჩვენი პარტიებისა და ქვეყნების შემდგომი განმტკიცებისათვის.

• • •

შემდეგ გამოვიდა ამხანაგი ე. გერეკი.

ამხანაგ ე. გერეკის გამოსვლა

ძვირფასო ამხანაგო ბრეჟნევ!

პატივცემულო საბჭოთა ამხანაგებო და მეგობრებო!

უდიდესი მადლობა ჩვენ ამ ორ ენაზე ეკეთებოდა ოქტომბრის რევოლუციის ორდენს, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მომანიჭა. პირადად ჩემთვის ეს დიდი პატივია და უდრმესი კმაყოფილებაც ესოდენ მაღალი ჯილდო აღიარებაა მთელი ჩვენი პარტიის გარჯისა, მისი წვლილისა სოციალისტური სამყაროს მშენებლობაში, რომელსაც დასაბამი მისცა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ.

ამ დიდმნიშვნელოვანმა ისტორიულმა მოვლენამ განსაკუთრებული გავლენა მოახდინა პოლონელი ხალხის ბედზე. რუსეთის პროლეტარიატის გამარჯვებამ პოლონეთს გაუხსნა გზა, რათა აღედგინა დამოუკიდებლობა, რომელისთვისაც თავდადებით იბრძოდა პოლონელთა ბევრი თაობა.

პოლონელ ხალხს მუდამ ეხსომება, რომ მისი თავისუფლების მგზნებარე დამცველი იყო ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, ბოლშევიკების პარტია, რომელმაც თავის დროზეს წაუწერა ხალხთა თვითგამორკვევის უფლება. ათასობით პოლონელი მუშა და გლეხი, ჯარისკაცი და სტუდენტი ხალხთა თვითგამორკვევის უფლების დროშით რუს ხალხთან ერთად აღდგა ცარიზმის დასამხობად, იბრძოდა რევოლუციის ბარიკადებზე, იცავდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას. ამ ბრძოლაში მათ ფრთას ასხამდა მუშათა ალალმართალი საქმის გამარჯვების ურყევი რწმენა, სოციალიზმის ნათელი იდეა და იმის მტკიცე იმედი, რომ სწორედ ასე გამოადგებოდნენ ყველაზე მეტად თავიანთ ერსაც.

ისტორიამ სრულად დაადასტურა ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის განუყრელი კავშირი. მან დაადასტურა ეს სამოცი წლის წინ, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ გაუქმა ხელშეკრულებანი პოლონეთის გადანაწილების შესახებ, დაადასტურა ოცდახუთი წლის შემდეგაც, ჰიტლერული ფაშიზმის წინააღმდეგ ერთობლივი განმათავისუფლებელი ომის პირობებში. სისხლმა, რომელიც საბჭოთა ადამიანებმა პოლონეთის მიწა-წყალზე დაღვარეს თქვენი და ჩვენი თავისუფლებისათვის ბრძოლაში, სამუდამოდ შეადუღა და დაამოყარა ჩვენი მოძმე ხალხები.

დღეს ჩვენს პარტიებს, ჩვენს ხალხებს აერთიანებთ საერთო იდეები და მიზნები, მჭიდრო თანამშრომლობა მრავალ დარგში, ორმხრივი მეგობრობის უხვი ნაყოფი, სულ უფრო მჭიდრო კონტაქტები. ჩვენ გზას გვინათებს ლენინური იდეა, ჩვენ ერთი მიზნისაკენ მივდივართ.

ბრძოლა დღესაც გრძელდება. გრძელდება ბრძოლა ჩვენი ხალხების ბედნიერებისა და კეთილდღეობისთვის, მთელი კაცობრობის მშვიდობისა და უშიშროებისათვის, სამართლიანობისა და დემოკრატიის, თავისუფლებისა და პროგრესის გამარჯვებისათვის, დიდი ოქტომბრის იდეების გამარჯვებისათვის, რომლებსაც ჩვენს ქვეყნებში რეალურ სოციალიზმად შეესახით ხორცი.

საბჭოთა კავშირის „ომუნისტური პარტიის ლენინური პოლიტიკის მეობებით, თქვენი, ძვირფასო ლუონიდ ილიას ძე, დაუღალავი მეცადინეობის მეოხებით, სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყნის ერთიანობის მეოხებით ჩვენ ამ ბრძოლაში ახალ-ახალ წარმატებებს ვაღწევთ. სწორედ რომ ჩვენი მოძრაობა, სწორედ ჩვენი სოციალისტური სისტემა — ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარი სისტემა ყველაზე სრულად და თანამიმდევრულად ახორციელებს პრაქტიკულად ადამიანის უფლებებს, იცავს მის უზენაეს უფლებას — მშვიდობიანი ცხოვრების უფლებას.

როგორც პოლონელი და კომუნისტი, როგორც შვილი მუშათა კლასისა, რომლის სამსახურსაც ვახმარ მთელ ჩემს ძალ-ღონეს, დიდად ვამაყობ მიღებული ჯილდოთი და გულითად მადლობას მოგახსენებთ თქვენ, პატივცემულო ამხანაგებო.

ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და ე. გერეკის გამოსვლები დიდი ყურადღებით მოისმინეს და ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

სსრ კავშირის პარტიულმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა გულითადად მიულოცეს ე. გერეკს საბჭოთა კავშირის მაღალი ჯილდო და უსურვეს მას შემდგომი წარმატებანი იმ დიდ ნაყოფიერ საქმიანობაში, რომელსაც ეწევა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში განვითარებული სოციალიზმის ასაშენებლად, მთელ მსოფლიოში მშვიდობის დასამკვიდრებლად. (საკდესი).

სურათზე: ჯილდოს გადაცემის დროს.

ხაკლუს-საინფორმის ტელეფოტო.

სამშობლოში გაემგზავრნენ

19 აპრილს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედვარდ გერეკი. იგი საბჭოთა კავშირის დედაქალაქში ხანმოკლე მეგობრულ ვიზიტად იყო.

აეროდრომზე ე. გერეკი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. ვ. რუსაკოვმა, სკკპ ცენტრალური სარეკვიზიო კომისიის წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწემ ა. ი. ბლატოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილემ გ. ხ. შახნაზაროვმა, სამოქალაქო ავიაციის მინისტრის პირველმა მოადგილემ კ. კ. გულაკოვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

გამცილებელთა შორის იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში კ. ოლშევსკი. (საკდესი).

ს. ვენსი მოსკოვს ჩამოვიდა

19 აპრილს მოსკოვს ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი საიერუს რ. ვენსი, რათა მონაწილეობა მიიღოს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ორმხრივ საინტერესო მთელი რიგი საკითხების, კერძოდ, სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ დასადები შეთანხმების მომზადებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო დრომშებით მორიგეულ ვნუკოვოს აეროდრომზე ს. ვენსს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სხვა ოფიციალური პირნი.

(საკდესი).

კარგი დასაწყისი

მეზობელი რაიონების პროპაგანდისტების ურთიერთთანამშრომლობით

ლენინგორი. (საკ. კორ.). კარგი საქმე წამოწყეს პარტიის ლენინგორის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის მუშაკებმა. მათ გადაწყვიტეს მეზობელი რაიონების პროპაგანდისტებთან დაამყარონ მჭიდრო ურთიერთობა და ერთობლივი ღონისძიებებით შეუდგნენ საქართველოს ახალი კონსტიტუციის მოთხოვნათა პროპაგანდას, ერთმანეთს გაუზიარონ იდეოლოგიური მუშაობის გამოცდილება.

პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა. ლენინგორს ესტუმრნენ პარტიის ღუშეთის რაიკომის მდივანი ქ. ბექეური, პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგე გ. წამალაძე, საქართველოს ალკა ღუშეთის რაიკომის მეორე მდივანი ა. ჯარსიმაშვილი, პოლიტიკური განათლების კაბინეტის მეთოდისტბუნი წევრები გ. თეთრუაშვილი და ა. გაგუა. მათ მონაწილეობა მიიღეს პროპაგანდისტთა რაიონული სემინარის მუშაობაში, მოხსენება თემაზე „რაიონის პროპაგანდისტთა ამოცანები“ წაიკითხა პარტიის ლენინგორის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ოდიშვილმა. ამ ყურადღება გაამახვილა მეცხოველეობაში სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის საკითხებზე და ამ ხაქმეში იდეოლოგიური დარგის მუშაკთა ამოცანებზე.

სემინარზე ახალი კონსტიტუციის მოთხოვნების პროპაგანდის გამოცდილება სტუმრებს გაუზიარა ლარგვისის ტერიტორიულ პარტიულ ორგანიზაციის ბარსტრუქტურის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლის პროპაგანდისტმა ვ. შერმადინმა.

დუშეთში ამხანაგებმა მონაწილეობა მიიღეს ავრეთვე სექციურ მუშაობაში. ისინი დაესწრნენ ლენინგორის საბჭოთა მეურნეობის ახმაჯის საბრიგადო პარტორგანიზაციასთან შექმნილ თეორიული სემინარის მეცადინეობას, რომელსაც პედაგოგი ნ. მაჭარაშვილი ხელმძღვანელობს.

შემდეგ პარტიის ლენინგორის პოლიტიკური განათლების კაბინეტთან შექმნილმა მეთოდისბჭემ დუშეთი პროპაგანდისტებისა და ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების მონაწილეობით განიხილა და მაღალი შეფასება მისცა სემინარის მეცადინეობას.

ეს კარგი დასაწყისია. უდავოა, რომ ასეთი მუშაობის ფორმა დიდ სარგებლობას მოუტანს იდეოლოგიური დარგის მუშაკებს, აამაღლებს მეცადინეობათა დონეს, რასაც, დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი კონსტიტუციის მოთხოვნების ღრმად შესწავლაში.

ვუხლი 16. საქართველოს სსრ ეკონომიკა შემადგენელი ნაწილია ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსისა, რომელიც სსრ კავშირის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წარმოების განაწილებისა და გაცვლის უფლა რგოლს მოიცავს.

ეკონომიკის ხელმძღვანელობა ხორციელდება ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების საფუძველზე, დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპების გათვალისწინებით იესთ პირობებში, როცა ცენტრალიზებული მართვა შეხამებულია საწარმოების, გაერთიანებებისა და სხვა ორგანიზაციების სამეურნეო დამოუკიდებლობასთან და ინიციატივასთან. ამასთან აქტიურად გამოიყენება სამეურნეო ანგარიში, მოგება, თვითღირებულება, სხვა ეკონომიკური ბერკეტები და სტიმულები.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციიდან.

ეროვნული ინტერესი

განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკური სისტემა

I

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მერვე სესიამ მიიღო საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია, რომელშიც ასახულია პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნები და ძვრები, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში მოხდა წინათ მოქმედი კონსტიტუციის მიღებიდან დღემდე. კონსტიტუცია მოიცავს მიღწეული განვითარების შედეგებს, მასში ასახულია საქართველოს განვითარების ეროვნული და სხვა თავისებურებანი.

ჩვენ წინაშე დგას საპატიო ამოცანა — ყოველი მუხლის, დებულების განმარტება და შრომელებისათვის გაცნობა. ბუნებრივია, ასეთი კამპანია დიდად შეუწყობს ხელს მასების შრომითი და პოლიტიკური აქტივობის შემდგომ ამაღლებას, სკკ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, მეათე ხუთწლედისა და მისი მესამე წლის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

მომწიფებულ სოციალიზმს შეესაბამება მაღალგანვითარებული ეკონომიკური სისტემა. განვითარებული სოციალისტური საზოგადოება ეყრდნობა მაღალგანვითარებულ საწარმოო ძალებს, მძლავრ მოწინავე ინდუსტრიას, მსხვილ, კოლექტივისტურ პრინციპებზე დფუძნებულ მაღალმექანიზებულ სოფლის მეურნეობას.

სსრ კავშირის ეკონომიკა შეადგენს ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსს, რომლის ორგანული შემადგენელი ნაწილია საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა. საბჭოთა კავშირის ეკონომიკური სისტემის საფუძველია წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრება. რომლის ფორმებია: სახელმწიფო ანუ საერთო-სახალხო საკუთრება და საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრება. „წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრების სწორედ ეს ორი ფორმა განსაზღვრავს ჩვენი სახალხო მეურნეობის ხასიათს და საბჭოთა საზოგადოების დაყოფას ორ მეგობარ კლასად — მუშებად და გლეხებად“ (ლ. ი. ბრეჟნევი).

საკუთრების ორივე ფორმა ერთტიპური და მათი განსხვავება განსაზოგადოების დონეა. ორივე განაპირობებს სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა განუყოფელ ბატონობას.

სოციალისტური საკუთრების ძირითადი და წამყვანი ფორმაა სახელმწიფო საკუთრება, ე. ი. მთელი საბჭოთა ხალხის საერთო კუთვნილება, ამ შემთხვევაში საკუთრების სუბიექტად გვევლინება სოციალისტური საზოგადოება, 260-მილიონიანი საბჭოთა ხალხი. საბჭოთა ხალხს საკუთრების ობიექტია, საერთო-სახალხო კუთვნილება:

1. მიწა, მისი წიაღი, წყალი, ტყე;
2. წარმოების ძირითადი საშუალებანი მრეწველობაში, მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში;
3. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებანი;
4. ბანკები;
5. სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული სავაჭრო, კომუნალური და სხვა საწარმოების ქონება;
6. ძირითადი საქალაქო სამბინაო ფონდი;
7. სახელმწიფოს ამოცანათა განხორციელებისათვის საჭირო სხვა ქონება.

სახელმწიფო საკუთრება ხასიათდება განსაზოგადოების მაღალი დონით — წარმოების საშუალებათა განსაზოგადოება მთელი სახალხო მეურნეობის მასშტაბით, სახელმწიფო ანუ საერთო სახალხო საკუთრება სოციალისტური წარმოების გეგმაზომიერი და დინამიური განვითარების, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი ამაღლების გადამწყვეტი ფაქტორია. სახელმწიფო საკუთრებასთან უშუალოდ არის დაკავშირებული სოციალისტური საზოგადოების ფუძედ ბარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ყოველნაირად ხელი ეწყობიან ეკონომიკური პროგრესის ინტენსიფიკაციას. სწორად იქცევიან ის, სადაც ნოვატორული მოძრაობის შემოგვიმი განვითარების საკითხები, გამოიკვეთ პარტიული ორგანიზაციები, ხელმძღვანელობენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეფექტიანობისა

...ქლერს ქვის ჰარმონია

ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების საქმეს—სახელმწიფო ზრუნვა

ზრუნველობა კულტურული მემკვიდრეობისადმი, მისი პროგრესული საწყისების შემოქმედებითი ათვისება და განვითარება მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ამ მოძღვრებით რომ ხელმძღვანელობს, საბჭოთა სახელმწიფო ისტორიისა და კულტურის ძეგლებს ხალხის ზოგადსაგანმანათლებლო, კულტურული, პატრიოტული, იდეურ-ზნეობრივი, ესთეტიკური და ინტერნაციონალური აღზრდის მიზნებისათვის იყენებს. ამიტომ თვით ძეგლების დაცვა არა მარტო სახელმწიფო ორგანოების დიდმნიშვნელოვან ამოცანად არის მიჩნეული, არამედ თითოეული საბჭოთა მოქალაქის პატრიოტული, კონსტიტუციური მოვალეობაა.

საუკუნეთა მანძილზე საბჭოთა კავშირის ხალხები ქმნიდნენ თავის ეროვნულ კულტურას, რომლის მიღწევებმა უდიდესი წვლილი შეიტანა მსოფლიო კულტურის საგანძურში.

ქართველმა ხალხმაც თავისი ხანგრძლივი, გმირული ისტორიის მანძილზე შექმნა დიდი ეროვნული კულტურა, რომელმაც მიუხედავად ყველა იმ რბევა-აწოიკებისა, თავს რომ გადახდა, მაინც შემოინახა თავისი სახე, ეროვნული ტრადიციები. განსაკუთრებით გაძორნდა ჩვენი ხალხის ბრწყინვალე ნიჭი ხუროთმოძღვრებაში — ამ ყველაზე მეტყველსა და მონუმენტურ ხელოვნებაში.

საქართველოს შედარებით მცირე ტერიტორია გასაოცარია ძეგლების სიმრავლისა და მრავალფეროვნების მხრივ. ბევრი ჩინებული ძეგლი შემონახულია ქალაქებსა და სოფლებში, მთასა თუ ტყეში, სადაც უცნობი ოსტატები ქვაში გამოხატავდნენ თავისი დროის პროგრესულ და პატრიოტულ მისწრაფებებს, ხალხის სიდიადესა და ქართული ბუნების განსაცვიფრებელ სილამაზეს.

ისტორიის ძეგლები ასახავენ ჩვენი სამშობლოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას, ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის, რეალისტიკურ მორალობას, „საბჭოთა სახელმწიფოს ჩამოყალიბების ეტაპებს.

მრავალფეროვანი არქეოლოგიური ძეგლები, ნაქალაქარები, წრომის ტაძრის, დრანდის ეკლესიის, მცხეთის ჯვარის, მარტვილის აღდგენითი სამუშაოები, შატილის რესტავრაცია და სხვ. გამაგრებულია რამდენიმე ათეული დაზიანებული ფრესკული მხატვრობა. მაგრამ კიდევ დიდი და ძნელი სამუშაოა გასაწევი.

ახლად შექმნილი მთავარი სამმართველო პირველ ყოვლისა საჭიროდ მიიჩნევს ისტორიისა და კულტურის ძეგლების გამოვლენასა და აღრიცხვას, ძეგლების დაცვითი ზონების დადგენას, მათდამი სახელმწიფოებრივი დაცვის დაწესებას. ჯერ კიდევ 1972 წელს შემუშავდა ძეგლების აღრიცხვის უნიფიცირებული ფორმა, როგორც პირველადი დოკუმენტი, ერთიანი პასპორტი და ძეგლის საალრიცხო ბარათები. ამ ღონისძიებების შეუფასებლობა შეუწყნარებელია, ვინაიდან ძეგლების აღრიცხვა, მათი დაცვის ერთ-ერთი საწინდარია.

მთავარი სამმართველოს ძირითად საქმიანობას, რა თქმა უნდა, შეადგენს ძეგლების რესტავრაცია, რომელიც გულისხმობს მათს კონსერვაციას, რეკონსტრუქციას, ძეგლის გამაგრებას და მისი ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობის აღდგენას. ამ საქმეშოაოს საფუძველად დაედება ძეგლის ღრმა მეცნიერული შესწავლა, არქეოლოგიური გათხრები, რესტავრაციის პროექტის შედგენა, ყოველივე თვითნებური ინტერპრეტაციების გარეშე.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მრავალი ძეგლი ძალიან ძველია. თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ისინი განიცდიდნენ არსებითს ცვლილებებს ატმოსფერული გავლენების, სტიქიური უბედურებების, ნგრევა-შემოსევების შედეგად, ხდებოდა მათი გადაკეთება ეპოქის მოთხოვნილებათა შესაბამისად და სხვ. ამრიგად, ძეგლის მდგომარეობა ხშირად მეტად სავალალოა, რაც მოითხოვს სარესტავრაციო სამუშაოთა დაჩქარების აუცილებლობას. ამ სამუშაოთა მასშტაბის, მნიშვნელოვან გაზრდას და ძეგლების აღდგენაზე გაცილებით მეტი სახსრების ათვისებას. ჩვენი მიზანია უახლოეს წლებში სამჯერ-ოთხჯერ გაეზარდოთ აღდგენით სამუშაოთა მასშტაბი. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე სარესტავრაციო სამუშაოები ძირითადად წარმოდა საკულტო ძეგლებზე, რაც თავისთავად გასაგებია, ვინაიდან საქართველოში სწორედ საკულტო ძეგლებს ჰქონდა დიდი მხატვრული ღირებულება. ასევე აუცილებელია სასწრაფოდ დავიცვათ სხვა კატეგორიის ძეგლები-ხიდები, სასახლეები, ციხე-გალავნები, ქარვასლები, დარბაზები, საცხოვრებელი სახლები, რომლებიც გაცილებით ნაკლებად არის შემორჩენილი და აგრეთვე ჩვენი ერის ისტორიისა და კულტურის განუყოფელი ნაწილებია.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქართული ქედლის მხატვრობა, ჩვენი კულტურის მრავალი უძვირფასესი ძეგლი. ჩვენ მოვალენი ვართ დაუყოვნებლივ გავამაგროთ ადგილზე შემორჩენილი ფრესკები და დავიცვათ ყველა ასეთი ძეგლი შემდგომი განადგურებისაგან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთავარ სამმართველოს 1972 წელს გადაეცა მხატვარ ს. ქობულაძის ინიციატივით შექმნილი ხელოვნების ძეგლების ფოტესაცის სპეციალური ლაბორატორია, რომელმაც უკვე გადაიღო ორი ათასი კადრი ფერადი სლაიდები და შავ-თეთრი ნეგატივები. უკვე მთლიანად ფიქსირებულია ისეთი ძეგლები, როგორიც არის მანგლისი, ატენი, აჭი, ძველი ხელნაწერების მინიატურები, ნიკო ფიროსმანაშვილისა და დავით კაკაბაძის ყველა ნაწარმოები. ეს ნაყოფიერი მუშაობა ჩვენი ხელოვნების ძვირფასი ძეგლების ფიქსაციის მხრივ კიდევ უფრო ინტენსიურად უნდა წარიმართოს.

ერის ნივთიერი კულტურის შესწავლა ძირითადად არქეოლოგიური გათხრების შემწეობით ხერხდება, მაგრამ გათხრების შედეგად გახსნილი ძეგლები უმეტეს შემთხვევაში იღუპება. ჩვენ დღემდე არ გვჭონდა ამ ძეგლების მეცნიერული დაცვის სათანადო გამოცდილება.

გადაწყვეტილი გვაქვს ენერგიული საქმიანობა გავწიოთ არქეოლოგიური ძეგლების დაცვისათვის. აქ დიდი ამოცანები ეკისრება სამეცნიერო-კვლევითს ტექნიკურ ლაბორატორიას, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს ხის და ალიზის ქედლების დაცვა, გამომიშვაოს ქვის წყობის დამშლელი მცენარეების თუ ქვის ეროზიასთან ბრძოლის მეთოდები, ფართოდ გამოიყენოს საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების — „რესპუბლიკაში კულტურის ძეგლთა დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“, 1976 წელს — „ქალაქების თელავისა და სიღნაღის ისტორიული უბნების დაცვის ზონების შექმნის შესახებ“, 1977 წელს — „მცხვთის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის შექმნის შესახებ“ და სხვ.

1976 წელს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ და 1977 წელს საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღეს კანონი „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“, რომელიც ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რაოდენ დიდი ყურადღება ეთმობა ჩვენს ქვეყანაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და მის გამოყენებას ხალხის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის მიზნით.

1978 წლის 24 თებერვალს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 25 ოქტომბრის დადგენილების შესაბამისად მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

ამ დადგენილებით ლიკვიდირებულია ძეგლთა დაცვის ყველა არსებული ორგანო და შექმნილია ერთიანი ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მძლავრი შტატით, რომელსაც უნარი შესწევს ღირსეულად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა ამ უადრესად კეთილშობილურ საერთო საქმეში.

კულტურის ძეგლთა დაცვაში აქამდეც გვქონდა მნიშვნელოვანი წარმატებები. აღდგენილ და დღეისათვის დამთავრებულ ძეგლთა შორის შეიძლება დავასახელოთ სამწვერისი, წირქოლი, თელოვანი, ანნისხატი, ნინოწმინდა, რუისი, ურბნისი, გორის ციხე, ბედია, ბოლნისის სიონი, სვეტიცხოველის კარიბჭე, ალავერდი, კვეტერა, კარდანახი, თიანეთი, ოზანი, რკონი, სხალთა, ტბეთუფლი უბანი და სხვ.

ამჟამად მიმდინარეობს სვეტიცხოველის, ბაგრატის ტაძრის, წრომის ტაძრის, დრანდის ეკლესიის, მცხეთის ჯვარის, მარტვილის აღდგენითი სამუშაოები, შატილის რესტავრაცია და სხვ. გამაგრებულია რამდენიმე ათეული დაზიანებული ფრესკული მხატვრობა. მაგრამ კიდევ დიდი და ძნელი სამუშაოა გასაწევი.

ერსპუბლიკაში კულტურის ძეგლთა დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“, 1976 წელს — „ქალაქების თელავისა და სიღნაღის ისტორიული უბნების დაცვის ზონების შექმნის შესახებ“, 1977 წელს — „მცხვთის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის შექმნის შესახებ“ და სხვ.

1976 წელს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ და 1977 წელს საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღეს კანონი „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“, რომელიც ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რაოდენ დიდი ყურადღება ეთმობა ჩვენს ქვეყანაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და მის გამოყენებას ხალხის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის მიზნით.

1978 წლის 24 თებერვალს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 25 ოქტომბრის დადგენილების შესაბამისად მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

ამ დადგენილებით ლიკვიდირებულია ძეგლთა დაცვის ყველა არსებული ორგანო და შექმნილია ერთიანი ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მძლავრი შტატით, რომელსაც უნარი შესწევს ღირსეულად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა ამ უადრესად კეთილშობილურ საერთო საქმეში.

კულტურის ძეგლთა დაცვაში აქამდეც გვქონდა მნიშვნელოვანი წარმატებები. აღდგენილ და დღეისათვის დამთავრებულ ძეგლთა შორის შეიძლება დავასახელოთ სამწვერისი, წირქოლი, თელოვანი, ანნისხატი, ნინოწმინდა, რუისი, ურბნისი, გორის ციხე, ბედია, ბოლნისის სიონი, სვეტიცხოველის კარიბჭე, ალავერდი, კვეტერა, კარდანახი, თიანეთი, ოზანი, რკონი, სხალთა, ტბეთუფლი უბანი და სხვ.

ამჟამად მიმდინარეობს სვეტიცხოველის, ბაგრატის ტაძრის, წრომის ტაძრის, დრანდის ეკლესიის, მცხეთის ჯვარის, მარტვილის აღდგენითი სამუშაოები, შატილის რესტავრაცია და სხვ. გამაგრებულია რამდენიმე ათეული დაზიანებული ფრესკული მხატვრობა. მაგრამ კიდევ დიდი და ძნელი სამუშაოა გასაწევი.

ახლად შექმნილი მთავარი სამმართველო პირველ ყოვლისა საჭიროდ მიიჩნევს ისტორიისა და კულტურის ძეგლების გამოვლენასა და აღრიცხვას, ძეგლების დაცვითი ზონების დადგენას, მათდამი სახელმწიფოებრივი დაცვის დაწესებას. ჯერ კიდევ 1972 წელს შემუშავდა ძეგლების აღრიცხვის უნიფიცირებული ფორმა, როგორც პირველადი დოკუმენტი, ერთიანი პასპორტი და ძეგლის საალრიცხო ბარათები. ამ ღონისძიებების შეუფასებლობა შეუწყნარებელია, ვინაიდან ძეგლების აღრიცხვა, მათი დაცვის ერთ-ერთი საწინდარია.

მთავარი სამმართველოს ძირითად საქმიანობას, რა თქმა უნდა, შეადგენს ძეგლების რესტავრაცია, რომელიც გულისხმობს მათს კონსერვაციას, რეკონსტრუქციას, ძეგლის გამაგრებას და მისი ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობის აღდგენას. ამ საქმეშოაოს საფუძველად დაედება ძეგლის ღრმა მეცნიერული შესწავლა, არქეოლოგიური გათხრები, რესტავრაციის პროექტის შედგენა, ყოველივე თვითნებური ინტერპრეტაციების გარეშე.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მრავალი ძეგლი ძალიან ძველია. თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ისინი განიცდიდნენ არსებითს ცვლილებებს ატმოსფერული გავლენების, სტიქიური უბედურებების, ნგრევა-შემოსევების შედეგად, ხდებოდა მათი გადაკეთება ეპოქის მოთხოვნილებათა შესაბამისად და სხვ. ამრიგად, ძეგლის მდგომარეობა ხშირად მეტად სავალალოა, რაც მოითხოვს სარესტავრაციო სამუშაოთა დაჩქარების აუცილებლობას. ამ სამუშაოთა მასშტაბის, მნიშვნელოვან გაზრდას და ძეგლების აღდგენაზე გაცილებით მეტი სახსრების ათვისებას. ჩვენი მიზანია უახლოეს წლებში სამჯერ-ოთხჯერ გაეზარდოთ აღდგენით სამუშაოთა მასშტაბი. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე სარესტავრაციო სამუშაოები ძირითადად წარმოდა საკულტო ძეგლებზე, რაც თავისთავად გასაგებია, ვინაიდან საქართველოში სწორედ საკულტო ძეგლებს ჰქონდა დიდი მხატვრული ღირებულება. ასევე აუცილებელია სასწრაფოდ დავიცვათ სხვა კატეგორიის ძეგლები-ხიდები, სასახლეები, ციხე-გალავნები, ქარვასლები, დარბაზები, საცხოვრებელი სახლები, რომლებიც გაცილებით ნაკლებად არის შემორჩენილი და აგრეთვე ჩვენი ერის ისტორიისა და კულტურის განუყოფელი ნაწილებია.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქართული ქედლის მხატვრობა, ჩვენი კულტურის მრავალი უძვირფასესი ძეგლი. ჩვენ მოვალენი ვართ დაუყოვნებლივ გავამაგროთ ადგილზე შემორჩენილი ფრესკები და დავიცვათ ყველა ასეთი ძეგლი შემდგომი განადგურებისაგან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთავარ სამმართველოს 1972 წელს გადაეცა მხატვარ ს. ქობულაძის ინიციატივით შექმნილი ხელოვნების ძეგლების ფოტესაცის სპეციალური ლაბორატორია, რომელმაც უკვე გადაიღო ორი ათასი კადრი ფერადი სლაიდები და შავ-თეთრი ნეგატივები. უკვე მთლიანად ფიქსირებულია ისეთი ძეგლები, როგორიც არის მანგლისი, ატენი, აჭი, ძველი ხელნაწერების მინიატურები, ნიკო ფიროსმანაშვილისა და დავით კაკაბაძის ყველა ნაწარმოები. ეს ნაყოფიერი მუშაობა ჩვენი ხელოვნების ძვირფასი ძეგლების ფიქსაციის მხრივ კიდევ უფრო ინტენსიურად უნდა წარიმართოს.

ერის ნივთიერი კულტურის შესწავლა ძირითადად არქეოლოგიური გათხრების შემწეობით ხერხდება, მაგრამ გათხრების შედეგად გახსნილი ძეგლები უმეტეს შემთხვევაში იღუპება. ჩვენ დღემდე არ გვჭონდა ამ ძეგლების მეცნიერული დაცვის სათანადო გამოცდილება.

გადაწყვეტილი გვაქვს ენერგიული საქმიანობა გავწიოთ არქეოლოგიური ძეგლების დაცვისათვის. აქ დიდი ამოცანები ეკისრება სამეცნიერო-კვლევითს ტექნიკურ ლაბორატორიას, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს ხის და ალიზის ქედლების დაცვა, გამომიშვაოს ქვის წყობის დამშლელი მცენარეების თუ ქვის ეროზიასთან ბრძოლის მეთოდები, ფართოდ გამოიყენოს საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება ამ დარგში. რაც შეეხება არქეოლოგიური გათხრების გამოვლენილ უნიკალურ ძეგლებს, აქ მოგვიხდება დამცველ ნაგებობათა მშენებლობაც. ყველა ამ სამუშაოს შესასრულებს სპეციალური სარესტავრაციო-სამეცნიერო სახელოსნოების გაერთიანება, რომელსაც ექნება 12 საწარმოო სახელოსნო რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში. მაგრამ დიდი მასშტაბის, სამუშაოთა გაშლისათვის აუცილებლად მიგვაჩნია სათანადო საწარმოო ბაზის შექმნა. ჩვენ ვგულისხმობთ სპეციალური სახელოსნოების შექმნას სხვადასხვა სახის ჭართული აგურის, კრამიტის, ხისა და ლითონის ნაკეთობათა წარმოებისათვის. დადგენილებით თბილისში გამოყოფილია ორი ჰექტარი ფართობის ნაკვეთი, სადაც ამ წარმოებასთან ერთად მოეწყობა ძველი, ნგრევაში მოყოლილი შენობების მნიშვნელოვანი დეტალების (აივნების, რიკულების, ლითონის დეტალის) და მასალების შენახვა შემდგომი გამოყენებისათვის.

ძანსაკუთრებული ყურადღება დეეთმობა ჩვენი ქალაქების თბილისის, ქუთაისის, თელავის, სიღნაღის, მცხეთის ისტორიული უბნების, რეკონსტრუქცია-რეგენერაციას. დღეს უკვე ყველასათვის ნათელია, რომ ქალაქების ძველი უბნები, მისი ძეგლები და მთლიანად განაშენიანება, რომელთაც უდიდესი ისტორიული და არქიტექტურულ-მხატვრული მნიშვნელობა აქვთ, დაუყოვნებლივ უნდა იყოს დაცული. ამასთანავე ეს ძველი უბნები როდი წარმოგვიდგება მხოლოდ რელიკვიებად. ისინი თანამედროვე ქალაქის აქტიური კომპონენტები უნდა იყოს. საჭიროა დავიცვათ ისტორიული რაიონების განაშენიანება და მასშტაბი, სიგრძითი გადაწყვეტა და სილუეტი და ამასთანავე ისინი ორგანულად უნდა შეეროწყოს ახალ განაშენიანებას.

ასევე მნიშვნელოვანი ამოცანაა ქალაქების ამ ძველი უბნების გაჯანსაღება სოციალური და ეკონომიური თვალსაზრისით. აქ შემოჩენილი საცხოვრებელი სახლები თუ სამრეწველო ნაგებობები მეტად მოძველებულია. მოსახლეობის სამეწარმეოდოდ, ბინების მცირე ფართობი, გამწვანების სიმცირე, ჩამორჩენილი კეთილმოწყობა ეწინააღმდეგება თანამედროვე სანიტარიულ-ჰიგიენურ და ქალაქგეგმარების ნორმებს. ამგვარად, აუცილებელია ძველი რაიონების რეგენერაციასთან ერთად ცხოვრების თანამედროვე პირობების შექმნაც. ცხადია, რომ ყველა რესტავრირებული ძეგლი, საცხოვრებელი სახლი თუ სხვა დანიშნულების ნაგებობა არ შეიძლება იყოს გაუზრკვეული როგორც მხოლოდ საუზეუმო ექსპონატი, უფრო მეტიც, უპატრონოდ დატოვებული შენობა განშორებულია განადგურებისაგან. ამიტომ საჭიროა მათი თანამედროვე მიზნებისათვის გამოყენება, მათი ადაპტაცია. ცხადია, ძეგლების გამოყენება სამეურნეო თუ სხვა მიზნებისათვის დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, თუ ეს ზიანს არ აყენებს და არ ვნებს მათ ისტორიულ-მხატვრულ ღირებულებას. არქიტექტურული ძეგლების მიზანშეწონილი გამოყენება ხელს უწყობს მათ დაცვას და ამასთანავე ამას ექნება გარკვეული ეკონომიკური ეფექტიც. საჭარო გადასახადის გამოყოფით ძეგლების **დაცვისათვის.**

ძეგლების დაცვას დღეს მტკიცე სახელმწიფოებრივი საფუძველი გააჩნია კანონის 46-მუხლის შესაბამისად: „პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის, გამოყენების, აღრიცხვისა და რესტავრაციის წესების შეუსრულებლობაში, მათი დაცვის ზორების რეჟიმის დარღვევაში, აგრეთვე ძეგლების დაცვასა და გამოყენების შესახებ კანონმდებლობის სხვა დარღვევებში, ეკისრებათ სისხლის სამართლის ადმინისტრაციული ან სხვა პასუხისმგებლობა კანონმდებლობის შესაბამისად“. ეს მოთხოვნა ეხება როგორც თანამდებობის პირებს, ისე მოქალაქეებსაც.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლის შესაბამისად, ძეგლების ნაბიჯწყვისა ან თვითნებური გამოყენებისათვის განსაზღვრულია ჯარიმა 100 მანეთი, ან გამასწორებელი სამუშაოები ერთი წლის ვადით, ხოლო ძეგლის დაზიანება-დანგრევა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთიდან შვიდ წლამდე. ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის წინაშე პასუხისმგებლობის გარდა, ისტორიისა და კულტურის ძეგლის ან მისი დაცვის ზონის დარღვევის შემთხვევაში საწარმო, ორგანიზაცია, დაწესებულება და მოქალაქე მოვალეა აღადგინოს ძეგლი ან მისი დაცვის ზონა და აანაზღაუროს მიყენებული ზარალი კანონის შესაბამისად.

სამწუხაროდ, დღემდე ასეთი ზომები თითქმის არ ყოფილა მიღებული და აუცილებელია, რომ ძეგლის დაზიანების არც ერთი შემთხვევა არ იყოს დატოვებული მკაცრი სასჯელის გარეშე.

ჩვენ გვწამს, რომ ისტორიული ძეგლების დაცვა, რომელსაც დღეს ახალი შინაარსი ენიჭება, მთელი ჩვენი საზოგადოების შეგნებულ მოთხოვნილებად იქცევა, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მთელი საზოგადოება, განსაკუთრებით ახალგაზრდობა გახდება ჩვენი თანამოაზრე, ახალი შეგნებითა და სულისკვეთებით ჩაებმება ძეგლთა დაცვა-პატრონობის კეთილშობილურ საქმეში.

ძეგლების დაცვის და პოპულარიზაციის საქმეში მასების ფართო ჩაბმა ეკისრება კულტურის ძეგლთა დაცვის რესპუბლიკურ საზოგადოებას, რომელიც დღეს ექვსასი ათასზე მეტ ინდივიდუალურ და 3.500 კოლექტიურ წევრს, 10.000-მდე პირველად ორგანიზაციას აერთიანებს. საზოგადოებამ მკვეთრად უნდა გააუმჯობესოს თავისი მუშაობა, საჭიროა საზოგადოების ორგანომ, „ძეგლის მეგობარმა“ მეტად გააშუქოს ძეგლთა დაცვა-პატრონობის საქმიანობა, ამ საქმის მნიშვნელობა, განვითარდეს ლექციური პროპაგანდა. მშრომელთა მასობრივი დასვენებისა და ტურიზმის ობიექტებად ძეგლთა და სილუეტი და ამასთანავე ისინი ორგანულად უნდა შეეროწყოს ახალ განაშენიანებას.

ასევე ეროვნული კულტურის შესწავლა ძირითადად არქეოლოგიური გათხრების შემწეობით ხერხდება, მაგრამ გათხრების შედეგად გახსნილი ძეგლები უმეტეს შემთხვევაში იღუპება. ჩვენ დღემდე არ გვჭონდა ამ ძეგლების მეცნიერული დაცვის სათანადო გამოცდილება.

ბ. ციციშვილი,

პროფესორი, საქართველოს კულტურის ძეგლების დაცვის საზოგადოების თავმჯდომარე, ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსი.

საერთაშორისო ცხოვრება

ეროვნული საქმე

ᲩᲚᲐᲕᲚᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲚᲐᲕᲚᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲚᲐᲕᲚᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ

დიდმნიშვნელოვანი მოვლენა

ᲑᲝᲜᲜ, 18 აპრილი (საკდესი). დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრიობის ფართო წრეები მხურვალედ მიეესალმებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ოფიციალურ ვიზიტს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, რომელიც მაისის დამდეგისათვის არის დანიშნული.

ამ ვიზიტს დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესისათვის, განაცხადა გერმანელთა მშვიდობის კავშირის კელნში გამართულ ორდღიან კონგრესზე დასავლეთ გერმანიის ამ პარტიის დირექტორატის წევრმა ი. ვებერმა. მან ხაზი გაუსვა, რომ გერმანელთა მშვიდობის კავშირი ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანთან ერთად ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტისაგან მოელის ორ სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის გაფართოებასა და პოლიტიკური ურთიერთობის გაღრმავებას მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე.

„გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — სსრ კავშირის“ საზოგადოებათა ფედერაციის ყოველწლიური კრების მონაწილეებმა მათ მიერ მიღებულ სპეციალურ განცხადებაში იმედი გამოთქვეს, რომ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი არა მარტო ახალ ბიძგს მისცემს ორი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობას, არამედ აგრეთვე დიდმნიშვნელოვან წვლილს შეტანს ევროპაში დაძაბულობის შენელების პოლიტიკაში.

გასული წლების შედეგები, აღნიშნულია ფედერაციის განცხადებაში, პოლიტიკურ შეხედულებებში ცნობილ განსხვავებათა მიუხედავად, ცხადყოფენ მნიშვნელოვან წარმატებებს ალმოსავლეთისა და დასავლეთის დიალოგში სულ სხვადასხვა დონეზე და წარმომადგენლობის ორგანიზაციებს, რომლებიც ევროპიანებული არიან „გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკა — სსრ კავშირის“ საზოგადოებათა ფედერაციასა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის და კულტურული კავშირის საბჭოთა საზოგადოებების კავშირს შორის.

დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრიობა მიესალმება ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტს

□

ერთობის გაღრმავებას მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე.

„გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — სსრ კავშირის“ საზოგადოებათა ფედერაციის ყოველწლიური კრების მონაწილეებმა მათ მიერ მიღებულ სპეციალურ განცხადებაში იმედი გამოთქვეს, რომ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი არა მარტო ახალ ბიძგს მისცემს ორი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობას, არამედ აგრეთვე დიდმნიშვნელოვან წვლილს შეტანს ევროპაში დაძაბულობის შენელების პოლიტიკაში.

გასული წლების შედეგები, აღნიშნულია ფედერაციის განცხადებაში, პოლიტიკურ შეხედულებებში ცნობილ განსხვავებათა მიუხედავად, ცხადყოფენ მნიშვნელოვან წარმატებებს ალმოსავლეთისა და დასავლეთის დიალოგში სულ სხვადასხვა დონეზე და წარმომადგენლობის ორგანიზაციებს, რომლებიც „გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკა — სსრ კავშირის“ საზოგადოებათა ფედერაციასა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის და კულტურული კავშირის საბჭოთა საზოგადოებების კავშირს შორის.

ᲞᲠᲔᲡᲐ ᲙᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ

ვინ მოყვროს და ვინ მტროს აფრიკას

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 18 აპრილი. (საკდესი). დასავლეთის მტკიცებანი აფრიკის სახელმწიფოთა საქმეებში საბჭოთა „კავშირისა და კუბის „ჩარევის“ შესახებ ეფრავთთარ კრიტიკას ვერ უძლებს, წერს დღეს ინგლისური გაზეთი „მორნინგ სტარი“. არც საბჭოთა კავშირსა და არც კუბას აფრიკის ქვეყნებთან არაფერი აქვთ გასაყოფი და არც „შავი კონტინენტის“ სახელმწიფოთა მოგებაში ეძებენ სარგებლობის მიღების გზებს.

არადა, მარტო ამერიკის შეერთებული შტატების ბოლოპოლიტიკებმა აფრიკაში თავიანთი კაპიტალდაბანდება 1957 წლის 664 მილიონი დოლარიდან 1976 წელს 4 მილიარდ დოლარამდე გაზარდა. ყოველწლიურად შეერთებული შტატები აფრიკის კონტინენტის ქვეყნებიდან მრავალმილიონიან მოგებას იღებს.

ამის მკაფიო კონტრასტია საბჭოთა კავშირის ეკონომიკური დახმარება აფრიკის ახალგაზრდა განვითარებადი ქვეყნებისადმი. ეს დახმარება, წერს გაზეთი, ხმარდება აფრიკის სახელმწიფოების ინდუსტრიული ბაზის შექმნის, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს მიიღწიონ სრულ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. მარტო საბჭოთა კავშირის დახმარებით აფრიკის ქვეყნებში აშენდა 170 სამრეწველო საწარმო; შექმნა 40-ზე მეტი დიდი სასოფლო-სამეურნეო კომპლექსი.

სოციალისტური ქვეყნები — აი, ვინ უწევს ქმედითს მხარდაჭერას აფრიკის კონტინენტზე მიმდინარე პროგრესულ გარდაქმნებს, აღნიშნავს დასასრულ „მორნინგ სტარი“.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲣᲛᲦᲕᲔᲚᲘ ᲔᲡᲠᲘᲓᲔᲑᲐ

საპროტესტო დემონსტრაცია

● **ფრედერიქსბერგი.** დანის ქალაქ ფრედერიქსბერგში, სადაც მიმდინარეობს ნატოს ატომური დაგეგმვის ჯგუფის სესია, მრავალათასიანი საპროტესტო დემონსტრაცია გაიმართა ნეიტრონული ბომბის წინააღმდეგ. „გაუქმდეს ნეიტრონული ბომბი!“, „გაუმარჯოს მშვიდობას!“ — ასეთი ლოზუნგები მოჰქონდათ დემონსტრაციის მონაწილეებს, რომლებიც ქალაქის ცენტრიდან მიემართებოდნენ სამხედრო-საზღვაო ბაზისაკენ. ამ ბაზის ტერიტორიაზე ჩრდილოეთატლანტიკური ბლოკის შვიდი წევრი ქვეყნის მინისტრები იხილავენ ნატოს ატომური პოტენციალის შემდგომი გადიდების გეგმებს.

კონფერენცია დამთავრდა

● **ალჟირი.** ალჟირის დედაქალაქში დამთავრდა არაბული სახელმწიფოების ინფორმაციის მინისტრების კონფერენცია, რომლებიც ილაშქრებენ ეგვიპტის პრეზიდენტის სადათის კაპიტულანტური პოლიტიკის წინააღმდეგ. კონფერენციის დელეგატებმა, რომელშიც აგრეთვე მონაწილეობდა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენელი, განიხილეს ამ ქვეყნების ინფორმაციის ორგანოების მუშაობის კოორდინაციის საკითხები.

გამოაცხადეს კანდიდატები

● **ბრაზილია.** ბრაზილიის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა ქვეყნის მთელი რიგი შტატების გუბერნატორთა კანდიდატები.

ქვეყნის პროგრესული საზოგადოებრიობა მწვავედ აკრიტიკებს გუბერნატორებისა და ეროვნული კონგრესის სენატორთა ნაწილის არაპირდაპირი არჩევნების სისტემას. კერძოდ, ეროვნული კონგრესის დეპუტატთა პალატაში ოპოზიციური პარტიის — ბრაზილიის დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენლებმა გადაკრნი დაგმეს გუბერნატორთა შერჩევის ახლანდელი პროცესი და აღნიშნეს, რომ ხელისუფალნი ანგარიშს არ უწევენ ბრაზილიელ ამომრჩეველთა აზრს.

WILMIN

გზებზე — ავტომოყვარულები

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩვენს რესპუბლიკაში ავტომოყვარულთა ახალი ნებაყოფლობითი საზოგადოება შეიქმნა. მისი ძირითადი მიზანია განახორციელოს ავტოსატრანსპორტო საშოფერებთა ინდივიდუალურ მფლობელებთან სისტემატიური საგზაო-საგანმანათლებლო მუშაობა ტრანსპორტის მართვისას მათი პასუხისმგებლობისა და დისციპლინის განმტკიცებლად. გიუწოს მათ დახმარება იქნეს ოპერაციის დროს საჭირო წესების ცოდნის შეძენისა და ტარების ამაღლებაში. გარდა ამისა, იქნეს ერი მონაწილეობა მიიღოს მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევათა თავიდან აცილებისათვის ორგანიზატორული და მასობრივი აზსნა-განმარტებითის მუშაობაში.

საზოგადოება მასობრივი ორგანიზაციაა. თავისი არსებობის მანძილზე მან გარკვეული მუშაობა გასწია თავისი რიგების ორგორც ერთიანობისთვის. ეს საჭიროებს ერთ-ერთ ძლავრი საწარმოა ჩვენს ქვეყანაში.

ქართული ჩაის კვირეული პირველად ეწვია ვ. ი ლენინის სამშობლოს. უნდა ითქვას, რომ მშრომელები უჩვეულო ინტერესს იჩენენ. პლაკატები, ლოზუნგები, სპეციალური ფარები მოწმობენ ამ დიდ მუშაობას, რომელიც ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოურნეო ორგანიზაციებმა გასწიეს ჩაის დღეების საუკეთესოდ მოწყობისათვის. საქართველოს დელეგაცია მიიღო პარტიის ულიანოვსკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. კუზნეცოვმა. გულითად, მეგობრულ საუბარში იგი შეეხო იმ ურთიერთობას, რომელიც არსებობს ორ მოძმე ქალაქს შორის და თქვა, რომ ქართული ჩაის კვირეული ამ მეგობრობას კიდევ უფრო განამტკიცებს. შარშან თქვენი სტუმარი ვიყავი, გავეცანი თბილისს და თბილისელებს, ბევრი მეგობარი შევიძინე იქ. ჭალარა ქალაქს უწოდებენ თბილისს. აქ ალბათ ნაგულისხმევია მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორია. მე კი ამას დავუმატებდი — ეს არის მჩქეფარე შრომის, კულტურისა და აღორძინების ქალაქი. ქალაქი ინტერნაციონალური, ქალაქი მრავალეროვანი. ბევრი რამ გადმოვიღეთ თბილისიდან. განსაკუთრებით დამამახსოვრდა მშენებლობათა უჩვეულო ტემპი. ჩინებული არქიტექტურა, ბრძოლა იმ ამოცანების შესრულებისათვის, რომლებიც პარტიის XXV ყრილობისა და მეათე ხუთწლედის მიერ არის დასახული.

კვირეულის პირველი დღე ძირითადად დაეთმო ქალაქის გაცნობას, ექსკურსიებს, შეხვედრებს, სემინარს. საქართველოს დელეგაციამ კვირგვინით შეამკო პროლეტარიატის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ძეგლი, რომელიც აღმართულია ქალაქის ცენტრში. დიდი ინტერესი გამოიწვია გიმნაზიის, ახლანდელი ულიანოვსკის პირველი სკოლის დათვალიერებამ, სადაც სწავლობდა და სიჭაბუკის წლები გაატარა ვ. ი. ლენინმა.

ბევრი რამ გაკეთდა ულიანოვსკში ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის. ეს არის დიდებული კომპლექსები, ლენინური მემორიალი. აქ ნახავთ უნაკლოდ მასალებს ულიანოვების ოჯახზე, ვ. ი. ლენინის ცხოვრებაზე. ყურადღებას იქცევს ქანდაკება — ლენინის დედა, რომელსაც გულში ჩუკვრია ხუთი წლის ვალოდია. ყურადღებით მოვისმინეთ ვ. ი. ლენინის ხმის ჩანაწერი — „რა არის საბჭოთა ხელისუფლება“.

მრავალი ულიანოვსკელი დაესწრო სემინარს, რომელზეც ლაპარაკი იყო ქართული ჩაის ისტორიაზე, მის საუკეთესო თვისებებზე. აქ გამოვდნენ რ. ჩხაიძე, ლ. ხარებავი, ი. გალდავაძე, ნ. ნებიერიძე. მათივ გასცეს პასუხი ულიანოვსკელთა კითხვებზე. უჩვენეს ენოსსურათები, სადაც ძირითადად ასახულია ქართველი მეჩაიეების შრომა.

სასტუმრო „ვენეცის“ სბანაკეტო დარბაზში მოეწყო პრესკონფერენცია. ჟურნალისტების, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკების გარდა მასში მონაწილეობდნენ წარმოების წარჩინებული ადამიანები, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის წარმომადგენლები.

ჩაის კვირეული ვ. ი. ლენინის სამშობლოში გრძელდება.

ვ. გაბელია.

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ქართული ჩაის კვირეული

მასპინძლობს ულიანოვსკი

ულიანოვსკი, 18 აპრილი (ტელეფონით). ქართული ჩაის დღეებმა სვერდლოვსკიდან საბჭოთა ქვეყნის დამაარსებლის, დიდი ლენინის სამშობლოში ულიანოვსკში გადაინაცვლა. გაზაფხულის ეს დღეები განსაკუთრებით ხალისიანია ულიანოვსკელებისათვის, რომლებიც ემზადებიან ბელადის დაბადების 108-ე წლისთავისთვის და ლენინური შაბათობისათვის. სასიამოვნოა, რომ ქართული ჩაის კვირეული სწორედ ამ დიდ მოვლენებს დაემთხვა.

კოპწია ქალაქია ულიანოვსკი. ჩინებული არქიტექტურული ნაგებობანი, მუზეუმები, ლენინის ადგილები, სამეცნიერო დაწესებულებები, ფართო მაგისტრალები. ყოველივე ეს მეტ ხალამაზესა და იერს მატებს მას. ქალაქს ამშვენებს აგრეთვე დიდი სამრეწველო ადგილები. აქ პირველ რიგში არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ულიანოვსკის ავტოსაშენებელი ქარხანა, რომელიც ერთ-ერთი ძლავრი საწარმოა ჩვენს ქვეყანაში.

ქართული ჩაის კვირეული პირველად ეწვია ვ. ი ლენინის სამშობლოს. უნდა ითქვას, რომ მშრომელები უჩვეულო ინტერესს იჩენენ. პლაკატები, ლოზუნგები, სპეციალური ფარები მოწმობენ ამ დიდ მუშაობას, რომელიც ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოურნეო ორგანიზაციებმა გასწიეს ჩაის დღეების საუკეთესოდ მოწყობისათვის. საქართველოს დელეგაცია მიიღო პარტიის ულიანოვსკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. კუზნეცოვმა. გულითად, მეგობრულ საუბარში იგი შეეხო იმ ურთიერთობას, რომელიც არსებობს ორ მოძმე ქალაქს შორის და თქვა, რომ ქართული ჩაის კვირეული ამ მეგობრობას კიდევ უფრო განამტკიცებს. შარშან თქვენი სტუმარი ვიყავი, გავეცანი თბილისს და თბილისელებს, ბევრი მეგობარი შევიძინე იქ. ჭალარა ქალაქს უწოდებენ თბილისს. აქ ალბათ ნაგულისხმევია მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორია. მე კი ამას დავუმატებდი — ეს არის მჩქეფარე შრომის, კულტურისა და აღორძინების ქალაქი. ქალაქი ინტერნაციონალური, ქალაქი მრავალეროვანი. ბევრი რამ გადმოვიღეთ თბილისიდან. განსაკუთრებით დამამახსოვრდა მშენებლობათა უჩვეულო ტემპი. ჩინებული არქიტექტურა, ბრძოლა იმ ამოცანების შესრულებისათვის, რომლებიც პარტიის XXV ყრილობისა და მეათე ხუთწლედის მიერ არის დასახული.

კვირეულის პირველი დღე ძირითადად დაეთმო ქალაქის გაცნობას, ექსკურსიებს, შეხვედრებს, სემინარს. საქართველოს დელეგაციამ კვირგვინით შეამკო პროლეტარიატის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ძეგლი, რომელიც აღმართულია ქალაქის ცენტრში. დიდი ინტერესი გამოიწვია გიმნაზიის, ახლანდელი ულიანოვსკის პირველი სკოლის დათვალიერებამ, სადაც სწავლობდა და სიჭაბუკის წლები გაატარა ვ. ი. ლენინმა.

ბევრი რამ გაკეთდა ულიანოვსკში ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის. ეს არის დიდებული კომპლექსები, ლენინური მემორიალი. აქ ნახავთ უნაკლოდ მასალებს ულიანოვების ოჯახზე, ვ. ი. ლენინის ცხოვრებაზე. ყურადღებას იქცევს ქანდაკება — ლენინის დედა, რომელსაც გულში ჩუკვრია ხუთი წლის ვალოდია. ყურადღებით მოვისმინეთ ვ. ი. ლენინის ხმის ჩანაწერი — „რა არის საბჭოთა ხელისუფლება“.

მრავალი ულიანოვსკელი დაესწრო სემინარს, რომელზეც ლაპარაკი იყო ქართული ჩაის ისტორიაზე, მის საუკეთესო თვისებებზე. აქ გამოვდნენ რ. ჩხაიძე, ლ. ხარებავი, ი. გალდავაძე, ნ. ნებიერიძე. მათივ გასცეს პასუხი ულიანოვსკელთა კითხვებზე. უჩვენეს ენოსსურათები, სადაც ძირითადად ასახულია ქართველი მეჩაიეების შრომა.

სასტუმრო „ვენეცის“ სბანაკეტო დარბაზში მოეწყო პრესკონფერენცია. ჟურნალისტების, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკების გარდა მასში მონაწილეობდნენ წარმოების წარჩინებული ადამიანები, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის წარმომადგენლები.

ჩაის კვირეული ვ. ი. ლენინის სამშობლოში გრძელდება.

ვ. გაბელია.

„კომუნისტის“ სპეც. კორ.



დღეს ავტონომიურ ოლქში



ჭალარა მთების ახალი სიცოცხლე

გვეტყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

დღეს სამხრეთ ოსეთში ნამდვილი დღესასწაულია — 56 წელი შესრულდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნიდან. ისტორიისათვის ეს მცირე მონაკვეთია, მაგრამ ოსი ხალხისათვის იგი საუკუნეებს უტოლდება. ოქტომბრის რევოლუციამდე ჩამორჩენილი, ბნელი კუთხე დღეს აყვავებული, განახლებული და აღორძინებულია.

მსოფლიოს 19 ქვეყანაში

სამხრეთ ოსეთის მრეწველობის პროდუქცია მსოფლიოს 19 ქვეყანაში იგზავნება. 1922 წელთან შედარებით სამრეწველო წარმოების მოცულობა 100-ჯერ გაიზარდა.

ოლქს 1922 წლისათვის სამი კუსტარული საწარმო ჰქონდა, ახლა კი მრავალდარგოვანი, განვითარებული მრეწველობა აქვს. სამხრეთ ოსეთი აწარმოებს 44 დასახელების სამრეწველო პროდუქციას, რომლის საერთო ღირებულება 59 მილიონ მანეთს შეადგენს.

ცხინვალში დაიწყო დიდი სატრიკოტაჟო ფაბრიკის და ახალი მექანიკური ქარხნის მშენებლობა; მალე დამთავრდება ოლქის უძველესი საწარმოს — ხე-ტყის კომბინატის რეკონსტრუქცია, დაწყებულია ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხნის სრული რეკონსტრუქცია, რომლის დამთავრების შემდეგ ეს საწარმო სამჯერ და უფრო მეტად გაადიდებს დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო პროდუქციის გამოშვებას.

ამ და სხვა ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მეათე ხუთწლედის დამლევისათვის ოლქის მრეწველობა გამოუშვებს 125-130 მილიონი მანეთის მთლიან პროდუქციას, რაც სამოცდაათჯერ აღემატება 1936 წლის დონეს.

აღმავლობა

შარშან ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აწარმოეს 1425 ტონით მეტი რძე. ხორცის წარმოება გაიზარდა 342 ტონით, მატყლისა — 26 ტონით, კვერცხისა 1.928 ათასი ცალით. მიღებულია 684-ით მეტი ხბო და 5.505-ით მეტი გოჭი, ვიდრე მეათე ხუთწლედის პირველ წელს.

სოციალური გარდაქმნები

1936 წელთან შედარებით თითქმის 45-ჯერ გაიზარდა კვალიფიციურ მუშათა რიცხვი. 14-ჯერ — ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა რიცხვი, 12-ჯერ—სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა, 4-ჯერ — ექიმების, 10-ჯერ და უფრო მეტად — საშუალო განათლების მედპერსონალის, თითქმის 3-ჯერ — კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების რიცხვი.

1936 წელს ოლქის სკოლებში 950 მასწავლებელი მუშაობდა. ახლა 2200 მასწავლებელი მუშაობს. ოლქში 80-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი და პროფესორია.

შენდება, მშვენდება

ბოლო წლების მანძილზე ოლქში საექსპლოატაციოდ გადაეცა რვა სასკოლო შენობა 4.480 მოსწავლისათვის. სულ ოლქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 24 ათასი ბავშვი სწავლობს, 1300-მდე ახალგაზრდა განათლებას მუშაობა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში იღებს, 1977 წელს სახელმწიფო ბიჯეტიდან ოლქში სახალხო განათლებას თითქმის 7 მილიონი მანეთი მოხმარდა.

მომავალი წლიდან აშენდება სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის, მხარეთმცოდნეობის სახელმწიფო მუზეუმის ახალი შენობები, მთლიანად რეკონსტრუირებული იქნება და ფაქტიურად ხელახლა აშენდება კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობა.

ჯანმრთელობის კერებში

შარშან სამხრეთ ოსეთის 2.000-ზე მეტმა მუშამ და მოსამსახურემ დასვენება და ჯანმრთელობა გაიკაჟა სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში.

უმჯობესდება ოლქის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, მატულობს საავადმყოფო საწოლების რაოდენობა. ამჟამად ოლქში 1350 საავადმყოფო საწოლია. ანუ 131 ყოველ ათი ათას მცხოვრებზე. ეს შესაბამის რესპუბლიკურ და საკავშირო მაჩვენებლებზე მეტია.

ახალმოსახლენი

უკანასკნელი 10 წლის მანძილზე კომუნალურ ბინებში ახალმოსახლეობა ცხინვალის მოსახლეობის თითქმის 25 პროცენტმა იზეიმა. ინტენსიურად მიმდინარეობს ქალაქის გაზიფიკაციის სამუშაოები.

გ. თედეევი.

• • •

სურათებზე: (ზემოთ) ქ. ცხინვალის ახალი რაიონი; ახალგაზრდა ოლ მხატვრთა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც საქართველოს სსრ კონსტიტუციას მიეძღვნა.

ლ. გუსოვის და **მ. ალგოროვის** ფოტოები.

ჭადრაკის მერიდიანებზე

დორტმუნდი. გუშინ ჩვენი კორესპონდენტი ა. ბოგინაძე ტელეფონით ესაუბრა მსოფლიოს ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილს, რომელიც დორტმუნდის (გფრ) ვაეთა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს.

— მეოთხე ტურში შავებით წარვიგე ზეციერთის ჩემპიონთან, საერთაშორისო ოსტატ ვიოტენხონთან. მეხუთეში შევხვედი დიდოსტატ ანდერსონს (შვეცია), რომელიც პირველი აგილის ერთ-ერთ ძირითად პრეტენდენტად ითვლება. მე თეთრებით მოვიგე ეს პარტია, შემდეგ კი ოსტატები კირშეკი (გფრ) და ტომინი (იუგოსლავია) დავამარცხე. 7 ტურის **შემდეგ მე და დიდოსტატ ფარაგოს (უნგრეთი) 5,5 ქულა გვაქვს თითოეული.** 5 ქულა აქვს დიდოსტატ ანდერსონს, 4,5 — დიდოსტატ გიშლესს (საბჭოთა კავშირი), კინს (ინგლისი) და იტალიის ჩემპიონს, საერთაშორისო ოსტატ ტატაის.

თბილისი. საქართველოს ჩემპიონატში 18 მონაწილეს შორის მკვეთრად გამოირჩევა ხუთი: ოსტატები სტურუა, უბილავა, ჩიქოვანი, ზაიჩიკი და ოსტატობის კანდიდატი გელეანიშვილი. თუმცა ფინიშამდე ჯერ კიდევ შორს არის, მაგრამ მათ საკრძნობლად ჩამოტოვეს დანარჩენი მონაწილეები. მერვე ტურში სტურუამ მოიგო კუზმინს, ჩიქოვანმა — ცქიტიშვილს (ადრე გადადებულ პარტიაში ჩიქოვანს დანებდა კუზმინიც), გელეანიშვილმა — ციხელაშვილს. ზაიჩიკი და უბილავა ყაიმზე შეთანხმდნენ. **8 ტურის შემდეგ 7,5-7,5 ქულა აქვთ სტურუას და გელეანიშვილს, 7-7 ქულა — ჩიქოვანს და ზაიჩიკს, 6 — უბილავას.**

ლვოვი. ხოსალური შეჯიბრების ძალთა ტურში სვეშნიკოვმა მოიგო ტოკმაკოვს. ჯელერ-სმასლოვი, ბიგრო